ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 01/10/115

გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი

27 ოქტომბერი 2015 წელი

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **თემურ თორდინავას** სახით, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მიცკევიჩის N29-29, ს/კ404905475, სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა GE24NB0330100200165022

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორეს მხრივ **შპს „სუფთა სახლი"** (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ირაკლი ღვინიაშვილის** სახით, იურიდიული მისამართი საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, თემქა, X კვ., სავაჭრო ცენტრი ს/კ202458893 სს „თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა GE63TB4685536020100002

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

<u>წინამდებარე ხელშეკრლების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტი.</u>

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში-„ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ბაზრის შესწავლის შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუზველზე, აწვდის საქონელს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია **ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"** საჭიროების დასაკმაყოფილებლად;

2.2 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

- <u>**პოლიეთილენის პაკეტებისა და ტომრების შესყიდვა.**</u>
- <u>**CPV კოდი: 19640000 - პოლიეთილენის პაკეტები და ტომრები ნარჩენებისა და ნაგვისთვის;**</u>

3. **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება და ანგარიშსწორება**

3.1 საქონლის აღწერილობა, აგრეთვე რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ფასი მოყვანილია დანართი N-1ში, რომელიც თან ერთვის აღნიშნულ ხელშეკრულებას და ითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

3.2 შესყიდული საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს - **112.40 ლარს (ასთორმეტი ლარი და 40 თეთრი).**

3.3 საქონლის ერთეულის ფასი და ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან.

3.4 გადახდის ფორმა – უნაღდო.

3.5 დაფინანსების წყარო: **ქ. თბილისის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები;**

3.6 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

3.7 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტისა და საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე, **20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.**

3.8 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებით, რომლებშიც აღნიშნული უნდა იყოს გაწეული საქონლის ღირებულება, ჯამური თანხა, რეკვიზიტები, მიღება-ჩაბარების გაფორმების თარიღი და ადგილი.

4.2 საქონლის მიწოდების მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ აპარატის უფროსი მაკარ მაკარიძე.

4.3 მიწოდებული საქონლის მიღება ხდება მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1 **მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:**

5.2 საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

5.3 **შემსყიდველი ვალდებულია:**

5.4 გაუწიოს კონტროლი საქონლის მიწოდების პროცესს;

5.5 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 კონტროლს განახორციელებს მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს“ კონსულტანტი თამთა ამნიაშვილი.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდა წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში შეუცვალოს ახლით.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3 თუ „მიმწოდებელი“ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

9.3.1 შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და „მიმწოდებელი“ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ის ოდენობით.

9.3.2 განუსაზღვროს საქონლის მიწოდების დასრულებისათვის დამატებითი გონივრული ვადა, რა ვადაშიც „მიმწოდებელი“ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.4 თუ „შემსყიდველი“ დარწმუნდება, რომ შეუძლებელია საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და „მიმწოდებელი“ დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.

9.5 თუ „მიმწოდებელი“ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს სრულად საქონლის მიწოდებას, „შემსყიდველი“ წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და „მიმწოდებელი“ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.

9.6 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.7 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

9.7.1 თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

9.7.2 „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;

8.9 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.9 ზემოთ მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების ენა და შეტყობინება

12.1 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად ქართულ ენაზე და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

12.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ორი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან“;

12.3 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან/და ელ. ფოსტის სახით, შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;

12.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების გაგზავნიდან მე-3 დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო ადრე დგება.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“	შპს „სუფთა სახლი“
თემურ თორდინავა	ირაკლი ღვინიაშვილი

<u>დანართი N1</u>

2015 წლის 27 ოქტომბერი N01/10/115 ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

N	CPV კოდი	დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	19640000	ნაგვის პარკი–ფრეკენ ბოკი 20ც. 60x80/60ლ შავი (50)	შეკვრა	3.00	3.70	11.10
2		ნაგვის პარკი–ფრეკენ ბოკი 10ც. 60ლ ცისფერი შესაკრავით სუპერგამძლე (35)	შეკვრა	3.00	4.00	12.00
3		ნაგვის პარკი–ბონუსი 30ც. 45x55/35ლ	შეკვრა	2.00	1.50	3.00
4		ნაგვის პარკი–ფრეკენ ბოკი 30ც. 50x60/35ლ ზღვის არომატით (60)	შეკვრა	2.00	3.20	6.40
5		მელოჩი ჟიზნი ნაგვის პარკი 35/30	შეკვრა	1.00	2.20	2.20
6		მელოჩი ჟიზნი ნაგვის paketi , თეთრი 20ლ./30ც.	შეკვრა	5.00	1.95	9.75
7		მელოჩი ჟიზნი ნაგვის პარკი 35ლ 30ც	შეკვრა	1.00	6.60	6.60
8		მელოჩი ჟიზნი ნაგვის პარკი შესაკრავით 35ლ./15ც.	შეკვრა	2.00	3.40	6.80
9		მელოჩი ჟიზნი ნაგვის პარკი 60ლ/15ც	შეკვრა	5.00	4.20	21.00
10		დომი ნაგვის პაკეტი შესაკრავით 60ლ./10ც.	შეკვრა	1.00	4.30	4.30
11		დომი ნაგვის პაკეტი შესაკრავით 35ლ./15ც.	შეკვრა	3.00	4.90	14.70
12		პაკლანი ნაგვის პარკი 35ლ/15	შეკვრა	1.00	2.70	2.70
13		ნაგვის პარკი თასმით(ეკო ლაინ) 60ლ/15ც (24)	შეკვრა	1.00	4.00	4.00
14		ნაგვის პარკი (კლასიკ	შეკვრა	2.00	2.70	5.40
15		პაკლანი ნაგვის პარკი 60ლ/10	შეკვრა	1.00	2.45	2.45
		ჯამი:				**112.40**

შემსყიდველი:

ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“

თემურ თორდინავა

მიმწოდებელი:

შპს „სუფთა სახლი“

ირაკლი ღვინიაშვილი

შემსრულებელი: _____